პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 7 ივლისი, 1944 წ. №136 (7080). ფასი 20 კაპ.

გმირი წითელი არმია ძლევამოსილად მიიწევს წინ დასავლეთისაკენ. 5 ივლისს ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს დიდი სარკინიგზო კვანძი ქალაქი მოლოდეჩნო. 6 ივლისს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დიდი სარკინიგზო კვანძი ქალაქი კოველი.

ახლოა ჟამი, როცა ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი ხალხები თავიანთ მიწა-წყალზე ბოლშევიკურ მშობლიურ წითელ არმიას.

დიდება ჩვენს გმირ მებრძოლებსა და მეთაურებს!

დიდება უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს დიდ სტალინს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა დღეს, 5 ივლისს, სატანკო შენაერთების, ცხენოსანი ჯარისა და ქვეითი ჯარის სწრაფი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **მოლოდეჩნო**—გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავდა **ვილნოს** და **ლიდის** გზებს.

მოლოდეჩნოს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **კრილოვის**, გენერალ-პოლკოვნიკ **გალიცკის**, გენერალ-მაიორ **ვორობიოვის**, გენერალ-მაიორ **პერეკრესტოვის** ჯარებმა; ჯავშანსატანკო ჯარების მარშალ **როტმისტროვის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ობუხოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ფომინიხის**, პოლკოვნიკ **კრემერის**, პოდპოლკოვნიკ **სოკოლოვის**, მაიორ **კუპინის**, პოდპოლკოვნიკ **შუკაკიძის**, პოდპოლკოვნიკ **იაბლოკოვის** ტანკისტებმა; გენერალ-მაიორ **ბრიკელის**, გენერალ-მაიორ **კალიუჟნის** კავალერისტებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **ნეფედოვის**, პოლკოვნიკ **ბარიშევის** არტილერისტებმა და პოლკოვნიკ **რაბინოვიჩის** მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების წლისთავზე შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი **მოლოდეჩნოს** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**მოლოდეჩნოს**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 5 ივლისს, 23 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო სალუტს აძლევს **ბელორუსიის** მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს **მოლოდეჩნო**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც **მონაწილეობდნენ მოლოდეჩნოს** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 5 ივლისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დღეს, 6 ივლისს, დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი და დიდი სარკინიგზო კვანძი — ქალაქი **კოველი**.

კოველის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **გუსევის**, გენერალ-მაიორ **ანაშკინის**, გენერალ-მაიორ **კუზმინის**, პოლკოვნიკ **ცვინტარნის**, პოლკოვნიკ **ბულგაკოვის**, პოლკოვნიკ **ვიდრიგანის**, გენერალ-მაიორ **ჩერნოვის**, პოლკოვნიკ **ზაიკინის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **გოდინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ბიტიუცკის**, პოლკოვნიკ **ელოვაცკის**, პოდპოლკოვნიკ **ბალაგუროვის** არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **პოლინინის**, პოლკოვნიკ **გრაზენკოს**, პოდპოლკოვნიკ **სმირნოვის** მფრინავებმა და პოლკოვნიკ **კისელევის**, პოდპოლკოვნიკ **სოკოლოვის**, მაიორ **სოკოლოვის** მესანგრეებმა.

მიღწეული წარმატების წლისთავზე შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი **კოველის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**კოველის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 6 ივლისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო სალუტს აძლევს **ბელორუსიის** 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს **კოველი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც **მონაწილეობდნენ კოველის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 6 ივლისი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საბჭოთა კავშირის გმირების „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და საგმირო საქმეებისათვის, რაც იძლევა **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდების მიღების უფლებას, საბჭოთა კავშირის გმირები:

1. გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **გულაევი**
2. კაპიტანი პავლე მიხეილის-ძე **კამოზინი**
3. გვარდიის მაიორი ვლადიმერ დიმიტრის-ძე **ლავრინენკოვი**
4. კაპიტანი სერგი დანილას-ძე **ლუგანსკი**
5. გვარდიის კაპიტანი გრიგოლ ანდრიას-ძე **რეჩკალოვი**

დაჯილდოებულ იქნან „**ოქროს ვარსკვლავის**“ მეორე მედლით და მათი გმირობის აღსანიშნავად გაკეთდეს ბრინჯაოს ბიუსტები, რომლებიც დაიდგას პოსტამენტზე, დაჯილდოებულთა სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 1 ივლისი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **ოქროს ვარსკვლავი**“:

1. პოლკოვნიკ ოლეგ ალექსანდრეს-ძე **ლოსიკს**
2. სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ვიქტორ ტიმოთეს-ძე **ობუხოვს**
3. პოლკოვნიკ მიხეილ **ოსიპის-ძე ბოდიონოვს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1944 წლის 4 ივლისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 ივლისის ოპერაციული ცნობა

5 ივლისის განმავლობაში **კარელიის** ფრონტის ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს **კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის** რაიონული ცენტრი—**სალმი** და რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი.

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა 5 ივლისს სწრაფი იერიშის შედეგად დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **მოლოდეჩნო**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ვილეიკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი და რკინიგზის სადგური **სმორგონი**, დიდი დასახლებული პუნქტები **ჩერემშიცე, ვოკშიცა, სლოგოდა, მიშუტი, მიცკევიჩი, ოლენეცი, ბელევო, ვენზელევო, რაკოვი, ვოლმა.**

ქალაქ **მინსკის** სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **დემენოვიჩი, ლედნიკი, სამოხვალოვიჩი, პიატევიჩინა, სკვორცი, დოგრინევო, კორმა, დანილოვიჩი** და რკინიგზის სადგურები **კოლიადიჩი, ვოლკოვიჩი, შანიოლი.** ქალაქ **მინსკის** აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები სხვობდნენ გერმანელთა მე-12, 27-ე საარმიო და 39-ე სატანკო კორპუსების გარშემორტყმული შენაერთების ნაშთებს.

ბარანოვიჩის მიმართულებით ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ და განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ლოგვინოჩი, კამენკა, კუხტიცი, კვაჩი, იადვეში, შეველე, ზუბელევიჩი, სინიავკა, ლოკატიჩი.**

მდინარე **პრიპიატის** შუაწელის რაიონში ქალაქ **მოზირის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს **პოლესიის** ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ტუროვი**, რკინიგზის საკვანძო სადგური **სტარუშკი**, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **გერმანოვა სლობოდა, ნოვოსელკი, ბოგორიკი, მიხეიდოვიჩი, კოკცევიჩი, გრინევი, დოროშევიჩი, ლასკოვიჩი, რუდნია, ბორკი** და რკინიგზის სადგურები **ფილიპოვიჩი, ზაპოლიე, მულიაროვკა, კოლკეფიჩი.**

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

4 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 28 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს ბარანოვიჩს, ლიდას, ვილნოს.

4 ივლისს ღამით ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს ბარანოვიჩს, ლიდას, ვილნოს და დაბომბა მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონები და სამხედრო საწყობები.

ბარანოვიჩის რკინიგზის კვანძის ლიანდაგებზე თავდასხმის მონაწილეობა გერმანელთა ათი ეშელონი იყო. დაბომბვის შედეგად ხანძრის 20-მდე კერა გაჩნდა. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია საწყობი საწვავიანად და ეშელონი საომარ მასალიანად.

ლიდისა და ვილნოს რკინიგზის კვანძებზე დაბომბვამ ბევრი ხანძარი გამოიწვია. იწვოდა გერმანელთა ვაგონები და პლატფორმები სამხედრო ტვირთიანად. საწყობები საწვავიანად და სამხედრო ქონებიანად. ხანძრებს თან ახლდა დიდი ძალის აფეთქებანი.

6 ივლისის ოპერაციული ცნობა

6 ივლისის განმავლობაში ქალაქ **პეტროზავოდსკის** დასავლეთით **კარელიის** ფრონტის ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და საინჟინრო დაბრკოლებებს ტყის გზებსა და ტბებს შუა მდებარე დეფილეებზე, განაგრძობდნენ შეტევითი ბრძოლების წარმოებას და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ოლენა-მუქსა, კამენნავოლოკი, ვოხტოზეროო, ლახტა, ისაკალა, პალოიარვი, კირკკოიოკი, ბრიაუსუ.**

ქალაქ **პოლოცკის** ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს **150**-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ბოლშაია ზაჩეპერნია, ზაეეკი, გლინოვკა, ვლადიჩინო, ზვანოე, ბოგოროვუხა, კევლი, სლობოდაზუკი, კოჩეტეფინო, ზაბორიე, იაკუბინკი, კოლეცეკაია** და რკინიგზის სადგურები **ტოლმაჩევსკაია, სუხოი ბორი, ბულავსკი, ბოგოროვუხა, ადამოვო.**

ქალაქ **მინსკის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს ვილეიკის ოლქის რაიონული ცენტრი **სვირი, ბარანოვიჩის** ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **ვოლოჟინი**, ქალაქი **ივენეცი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს **300**-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბოლშიე სტოლპენეტი, ზნახარი, მიხალიშკი, ნოსტარიშკი, ბერვიატი, ანდრეევცი, ჟოდიშკი, ვოლეიკოვიჩი, სოლი, ბილევიჩი, მიხნევიჩი, ბენიცა, მარკოვო, ლებედევი, ლოსკი, ბოგოროკი, დორი, ბოგოროვიკოვშჩიზნა** და რკინიგზის სადგურები **ზალესიე, პრუდი, პოლოზანი, ბოგოროკი.**

ქალაქ **მინსკის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს **მინსკის** ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ძერჟინსკი**, აგრეთვე დაიკავეს **100**-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **პუტჩინო, ვალოვნიკი, ბოგოვაია, რუდიცა, ვიშნევკა, პოლოზნევიჩი, ჩურილი, მელკოვიჩი** და რკინიგზის სადგურები **კოლიადინოვო, ნეგორელოე.**

ქალაქ **მინსკის** აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსახპობად. ბრძოლების მსვლელობაში ჩვენი ჯარების მიერ გაფლეტილია 5 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მთელი შემადგენლობით ტყვედ დაგვნებდა გერმანელთა 78-ე მოიერიშე დივიზიის 195-ე პოლკი პოლკის მეთაურის პოლკოვნიკ ოლდენბერის მეთაურობით.

ბარანოვიჩის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითი ბრძოლების წარმოებას, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს ბარანოვიჩის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ლიახოვიჩი**, აგრეთვე დაიკავეს სხვა რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის **იუშკოლძი, პეტკევიჩი, სნუვი, პოდლესეიკი, მისლოგოე, რუსინოვი ჩი** და რკინიგზის სადგური **რეიტანოვი.**

მდინარე **პრიპიატის** შუა წელის რაიონში, ქალაქ **მოზირის** დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს **პოლესიეს** ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი და რკინიგზის კვანძი **ჟიტკოვიჩი.**

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა 6 ივლისს დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი და დიდი სარკინიგზო კვანძი ქალაქი **კოველი.**

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

5 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 27 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 22 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა რკინიგზის კვანძები ბელოსტოკი და ვილნო

5 ივლისს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა სამხედრო ეშელონები ბელოსტოკისა და ვილნოს სარკინიგზო კვანძებზე.

დაბომბვის შედეგად ბელოსტოკის სარკინიგზო კვანძის უბანზე მრავალი ხანძარი გაჩნდა. იწვოდა ვაგონები და პლატფორმები მოწინააღმდეგის სამხედრო ტვირთიანად. ხანძრებს თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

ვილნოს სარკინიგზო კვანძზე ჩვენი ავიაციის თავდასხმის მომენტში იმყოფებოდა გერმანელთა 15-მდე სამხედრო ეშელონი. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით დამსხვრეულია რამდენიმე სარკინიგზო შემადგენლობა. აფეთქებულია დიდი ეშელონი საომარ მასალიანად. დაბომბვისა და საომარი მასალის აფეთქების შედეგად ხანძრები გაჩნდა, რომლებიც გაძლიერდა და მოედო რკინიგზის კვანძის მთელ ტერიტორიას.

* *

ქალაქ **პოლოცკის** ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და შეტევას განაგრძობდნენ. გერმანელები უკან იხევენ საბჭოთა ნაწილების დარტყმების შედეგად, აფეთქებენ ხიდებს, ანგრევენ და ნაღმავენ გზებს და აწყობენ ზვავებს. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევენ წინ, გაჩეხეს ტყე და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე საწყობი საომარ მასალიანად და სამხედრო ქონებიანად.

* * *

ქალაქ **მინსკის** ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგე ყოველნაირად ცდილობს შეაჩეროს ჩვენი ჯარების შეტევა. გერმანელებს მოჰყავთ მცველი და მშენებელი ბატალიონები, სამეურნეო და ზურგის სხვა ქვეგანაყოფები და დაუყოვნებლივ გამოჰყავთ ესინი ბრძოლაში. ჩვენმა ნაწილებმა სვირის ტბასთან მიიმწყვდიეს გერმანელთა 391-ე მცველი დივიზიის ბატალიონი და გაანადგურეს იგი. ხელთ ვიგდეთ ბატალიონის მთელი საჭურველი და 200 ტყვე. ქალაქ **სმორგონის** დასავლეთით მოსპობილია ამავე დივიზიის მეორე ბატალიონი. ამ ბატალიონის შემადგენლობიდან 350 ჯარისკაცმა და ოფიცერმა იარაღი დაჰყარა და ტყვედ დაგვნებდა. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, გაარღვიეს გერმანელთა შუალედი თავდაცვითი ზღუდე მდინარე ვილიაზე, ოშვიანკაზე, გადალახეს წყლის ეს დაბრკოლებანი და დაიკავეს დასაყრდენი პუნქტები მიხალიშკი, გერვიატი და სოლი.

ქალაქ **მინსკის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ყამარზეზის მნიშვნელოვანი კვანძები ქალაქი ვოლოჟინი და ქალაქი ივენეცი. არასრული ცნობებით, ამ უბანზე მოსპობილია 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 7 ტანკი და 4 თვითმავალი ქვემეხი. გერმანელებს წაავართვეთ 3 ტანკი, 19 საველე ქვემეხი, 11 ნაღმსატყორცნი. 76 ტყვიამფრქვევი, ბევრი ავტომანქანა და საზიდარი ტვირთიანად. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ **მინსკის** აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად. გერმანელები გააფთრებით ცდილობენ გაიჭრან დასავლეთისაკენ, მაგრამ ყველგან აწყდებიან მძლავრ საარტილერიო-სანაღმტყორცნო და ტყვიამფრქვევის ცეცხლს. ბრძოლების ადგილები დაფარულია ჰიტლერელთა გვამებით. ჰიტლერელთა ორი რაზმი, 1.500-მდე კაცის საერთო რაოდენობით, დაშორდა ძირითად დაჯგუფებას და დამოუკიდებლად ცდილობდა „ქვაბიდან“ თავის დაღწევას. ორივე რაზმი მოლიანად გაფლეტილია. ხელთ ვიგდეთ 11 ტანკი, 7 თვითმავალი ქვემეხი და სხვა დავლა. გერმანელთა ცალკეული ნაწილები უშედეგო იერიშების შემდეგ ტყვედ გვნებდებიან.

* * *

ბარანოვიჩის მიმართულებით 6 შენაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგის ხუთი გაფთრებული კონტრიერიში მოიგერიეს. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევდნენ, განდევნეს გერმანელები ქალაქ **ლიახოვიჩიდან**. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის რამდენიმე ასეული გვამი. სხვა უბანზე საბჭოთა კავალერისტებმა მოსპეს გერმანელთა ჯგუფი, რომელიც 200 კაცისაგან შესდგებოდა და ხელთ იგდეს სხვადასხვა ყალიბის 25 ქვემეხი.

ჩვენმა ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის თავმოყრილ ქვეითს ჯარზე და ურტყამდა მის კომუნიკაციებს. მოსპობილია 900-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 3 ბენზინის ცისტერნი, დამსხვრეულია 30 სარკინიგზო ვაგონი და 4 ორთქლმავალი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ტორპედიანი კატერების ჯგუფმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის გემების რაზმზე. ტორპედების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებული და ჩაძირულია ტრანსპორტი, საკანონერო ნავი და სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი.

ჩვენი კატერები, უზარალოდ და დაუზიანებლად დაბრუნდნენ ბაზაში.

ფლოტის ავიაციამ დაარტყა მოწინააღმდეგის გემებს ვიბორგის ყურეში. ჩაძირულია ორი ტრანსპორტი, საგუშაგო კატერი, ორი სწრაფმავალი სადესანტო და ორი მშრალი ტვირთის კარჭაპი. საჰაერო ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა და ფინელთა 10 თვითმფრინავი.

ჩვენ წინ მივდივართ*

ილია ერენბურგი

არავინ არ უნაზავს ამის მსგავსი რამ! არა მარტო გერმანიის უმაღლესი შტაბი, არამედ თვით გებელსიც თავზარდაცემულია მოვლენებით. გებელსი უეშეო აღმოჩნდა — მოუნახოს ახსნა გერმანიის არმიების სწრაფ უკან დახევას ბელორუსიიდან. მოსკოვის სალუტები ისე სწრაფად გაისმის ზედიზედ, რომ ქვემეხთა ზალპები ერთი გიგანტური გულის ცემას ვეგონებენ. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები—რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, ყაზახები ელიან საბოლოო გამარჯვებას.

შარშან ჩვენ გერმანელებს უკან ვაბრუნებინეთ პირი. მართალია, გასული წლის ივლისში გერმანელებმა სცადეს შეტევაზე გადმოსულიყვნენ. მათ ძვირად დაუჯდათ ეს ცდა. მაგრამ მაინც 1943 წლის ივლისი მათ დაკარგულ სამოთხედ უნდა ეჩვენებოდეთ.

1944 წლის ზაფხულმა შესცვალა მსოფლიოს ჰავა. ერთი წლის წინათ ჰიტლერი დამშვიდებით იცქირებოდა დასავლეთისაკენ და ფიქრობდა, რომ სიცილია ერთად-ერთი ტერიტორია იყო, რომლის დათმობაც მას მოუხდა. მას ისე გადმოჰყავდა თავისი დივიზიები საფრანგეთიდან საბჭოთა კავშირში, რომ მომავლისათვის სრულებით არ შიშობდა.

ეგი ჯერ კიდევ აშლევდა თავის თავს ასეთი ფუფუნების ნებას — შეედგინა ხოლმე გეგმები. მაგრამ ეს დღეები დიდიხანია უკან მოვიტოვეთ.

მთელი რიგი წლების მანძილზე ჰიტლერს შეეძლო დაეშინებინა ხალხები მითით თავისი უძლეველობის შესახებ. ჰიტლერი არ იყო სტრატეგი, არ ვარგოდა სახელმწიფო მოღვაწედ. ჰიტლერი იყო ჰიპნოტიზიორი, რომელიც აძინებდა მათ, ვინც მას ემორჩილებოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს იდეოლოგებსაც კი აეხილა თვალი. გერმანელთა სიცრუე იმ გაზებს ჰგავს, რომლებიც სწამლავენ ამ გაზების გამომყენებელ ჯარებს. გერმანელები ცდილობდნენ მოეტყუებინათ მსოფლიო, მაგრამ მათ მხოლოდ საკუთარი თავის მოტყუება შესძლეს.

ამას წინათ ერთი ჰიტლერული გაზეთი სწერდა, რომ წითელ არმიას არ შეუძლია შეტევაზე გადმოსვლა იმიტომ, რომ მისი რეზერვები, როგორც დასიზმრებია ამ გაზეთს, უაღრესად გამოფიტულია. გარდა ამისა, განაცხადა გაზეთმა, წითელ არმიას განზრახული აქვს ანგლოსაქსებს დააკისროს ზრუნვა სამხედრო მოვლენების შემდგომი განვითარებისათვისა.

ამის პასუხად დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს გაეღიმათ. მათ იცოდნენ, რომ რუსეთს მძლავრი ძალები ჰყავს და რომ იგი არავის დაუთმობს უფლებას — მოსპოს მინსკის, ფსკოვის, ლვოვის, კაუნასის, რიგის დამპყრობი ჯალათები.

ვის სჯეროდა გებელსისა? ცხადია, რომ არც ჩერჩილსა და არც რუზველტს. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა იცოდნენ, რომ ვიტებსკი და შერბური აღინიშნა რუკაზე ჯერ კიდევ თეირანში. მხოლოდ გერმანელებმა დაუჯერეს გებელსს.

„რუსეთი საბოლოოდ გამოფიტულია“.—სწერდა მისში „ფელკიშერ ბეობახტერი“, დოეს იგივე ჟურნალისტები აცხობენ სტატიებს საბჭოების ადამიანთა რეზერვებისა და ჯავშანსატანკო ძალების არაჩვეულებრივი კონცენტრაციის შესახებ.

რა გაეკეთა გერმანიამ განვლილი ზამთრის მანძილზე? გასულ ზამთარში, რომელიც შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს გერმანიისათვის, გერმანელები ოცნებობდნენ თვითმფრინავყუმბარებზე—იარაღზე, რომელიც გათვალისწინებულია ბრმა იერიშისათვის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.

რას ვაკეთებდით ჩვენ განვლილი ზამთრის მანძილზე? ჩვენ ვაორკეცებდით და გავაორმაგებდით ჩვენი არტილერიის სიმძლავრე. თვითმფრინავ-ყუმბარები და არტილერია—ეს ორი სხვადასხვა სამყაროს სიმბოლოებია.

ჩვენი ახლანდელი შეტევა სამი უკანასკნელი წლის ნაყოფი გახდა, დამარცხებათა და გამარჯვებათა ნაყოფი.

გერმანელმა სამხედრო სპეციალისტმა ამას წინათ გამოაქვეყნა სტატია რუსების ხასიათის შესახებ. სტატიის ავტორი აცხადებს, სამხედრო დარგში რუსები არაჩვეულებრივად ვერაგნი არიანო. მათ უნარი შესწევთ იოლად აღმოაჩინონ მახეები. მაგრამ სამხედრო სფეროს გარეშე რუსები გაჟღენთილნი გულდაწყლობითა და გულმავიწყობით გამოირჩევიან. მსგავსად ბავშვებისა, ისინი შურისძიებელნი არ არიანო.

ამრიგად, შეიგნეს რა თავიანთი უუნარობა — დაგვამარცხონ ბრძოლის ველზე, გერმანელებს ახლა იმედი აქვთ გვაჯობონ მოტყუების გზით. რუსები შურისძიებელნი არ არიანო —აცხადებენ გერმანელები. მათ არ იციან, როგორ შეიცვალა ჩვენი ხალხი. გერმანელები ვერ ხედავენ ჩვენს თვალებში ბელორუსიის ხანძრთა ანარეკლს.

მაშ რას მიჰყავს ჩვენი არმია წინ? მრისხანებას, აღშფოთებას და უდიდეს სიძულვილს, რომელიც უძლეველ ძალად იქცა. გერმანელებს ვერ წარმოუდგენიათ, რა უდიდესი ცეცხლი დაანთეს მათ. ისინი იმედოვნებენ—ცრემლებით დაიმსახურონ პატიება. მაგრამ არც ერთ ცრემლს არ ძალუძს იმ კოცონის ჩაქრობა, რომელიც სწრაფად ვრცელდება და რომლის ნაპერწკლებმა უკვე გაიელვეს გერმანიის ღამეში.

უცხოელი ჟურნალისტები კითხულობენ—როგორია ჩვენი შეტევის მიზანი — ბრესტ-ლიტოვსკი თუ რიგა? არა! წითელი არმიის თვითეულმა ჯარისკაცმა იცის, რომ ჩვენ ბერლინში მივდივართ და ჩვენი გზა აქეთ მხოლოდ ბერლინზე გამოიკვლეს.

*) სტატია დაწერილია სპეციალურად გაზ. „კომუნისტისათვის“.

რედ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეფენები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 5 ივლისი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია:

4 ივლისის განმავლობაში მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას კოტანტენის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, განსაკუთრებით სენ-რემი-დე-ლანდისა და ბლანშლანდის რაიონში. ამჟამად ჩვენი ჯარები 6 კილომეტრზე იმყოფებიან ქალაქ ლა-ე-დიუ-პიუის დასავლეთით და ჩრდილოეთით. უმნიშვნელო წინსვლა განხორციელებულია აგრეთვე სენ-ჟორესის სამხრეთ-აღმოსავლეთით. კანის რაიონში მოკავშირეთა ჯარები მძიმე ბრძოლებს ეწეოდნენ სოფელ კარპიკეს სამხრეთით.

გუშინდელი დღის განმავლობაში ჩვენი ავიაცია აქტიურად მოქმედებდა. ავიაგამანადგურებელთა და ბომბდამშენთა მთავარი დარტყმები ნიმართული იყო მტრის სახმელეთო და წყლის კომუნიკაციების წინააღმდეგ ერცელ რაიონში ნანტიდან კაბრემდე. ბრძოლების უშუალო ზონაში კანის სამხრეთით და ლესსში, უკიდურეს დასავლეთ ფლანგზე, ავიაცია უშუალო დახმარებას უწევდა ჩვენს სახმელეთო ძალებს.

ლონდონი, 5 ივლისი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა კვლავ წაიწიეს წინ კოტანტენის ნახევარკუნძულის ფუძესთან, თუმცა მტერი, რომელსაც ხელსაყრელი პოზიციები უკავია მაღლობზე, ძლიერ წინააღმდეგობას ეწევა. ყველაზე მნიშვნელოვანი წინსვლა აღნიშნულია სანაპირო რაიონში. განთავისუფლებულია სენ-ნიკოლა-დე-პიერ-პონი და ნეფშენილი. ზოგიერთი ნაწილი ამჟამად უახლოვდება ლა-ე-დიუ-პიუის.

კანის რაიონში მოწინააღმდეგეს გააფთრებული კონტრიერიშები მოაქვს. ჩვენს პოზიციებს კარპიკეში კვლავ მტკიცედ ვინარჩუნებთ.

4 ივლისის ღამის განმავლობაში სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა ინტენსიური თავდასხმა მოახდინეს ტორპედიანი კატერებისა და სხვა გემების შეჯგუფებებზე დიეპსა და გრაველინს შუა. მოწინააღმდეგის ერთი შეიარაღებული დამხმარე გემი აფეთქდა, რამდენიმე სხვა გემი დაზიანდა.

5 ივლისს დილით ავდარი კვლავ უშლიდა ხელს ავიაციის მოქმედებას.

ლონდონი, 6 ივლისი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დილის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ლა-ე-დიუ-პიუის რკინიგზის ვაგზალი და წინ მიიწევენ სამხრეთისაკენ, მოწინააღმდეგეს არმიმევენ თვითეულ ფუტ ტერიტორიის. მოკავშირეთა ჯარები მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს კარპიკში. მოწინააღმდეგე იერიშებს განაგრძობს.

გუშინდელი დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა მტრის ავიაგამანადგურებელთა დიდ შენაერთებთან ბრძოლების ზონაზე და მის სამხრეთითა და აღმოსავლეთით. ჩვენი ავიაგამანადგურებლებისა და გამანადგურებელ-ბომბდამშენების მნიშვნელოვანი რაოდენობა ენერგიულ დახმარეას უწევდა ჩვენი სახმელეთო ნაწილების მოქმედებას ფრონტის მთელ ტერიტორიაზე.

ლონდონი, 6 ივლისი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 6 ივლისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები, რომლებიც ლა-ე-დიუ-პიუის აღმოსავლეთით უტევენ, შიადგნენ მონ კასტრის ტყისპირს და საფრთხის ქვეშ დააყენეს მაღლობის ნაწილი, რომელსაც გერმანელები ინარჩუნებენ და რომელიც ქალაქს დაჰყურებს. გრძელდება ჩვენი ჯარების შეტევა კარანტანიდან სამხრეთ-დასავლეთით მიმავალი გზის გასწვრივ, მიუხედავად მოწინააღმდეგის კონტრიერიშებისა.

კანის რაიონში გრძელდება გააფთრებული ბრძოლები კარპიკის აეროდრომისათვის. ტანკებისა და ქვეითი ჯარის მონაწილეობით. მოსპობილია მტრის რამდენიმე ტანკი. ჩვენი თვითმფრინავების დიდი შენაერთები განუწყვეტლივ ბომბავდნენ რკინიგზებსა და გზატკეცილებს.

ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს მოწინააღმდეგის თავმოყრილი ჯარები კარანტანის სამხრეთ-დასავლეთით და ლესეს სამხრეთით.

სამსახურიდან გადაყენეს ჰიტლერული ჯარების მთავარსარდალი დასავლეთში რუნდშტედტი

შვეიცარია, 6 ივლისი (საკადესი). ჰიტლერულმა სააგენტომ ტრანსოკეანმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ ჰიტლერის ბრძანებით სამსახურიდან არის გადაყენებული გერმანიის ჯარების მთავარსარდალი დასავლეთში გენერალ-ფელდმარშალი ფონ-რუნდშტედტი. მის მაგივრად დანიშნულია გენერალ-ფელდმარშალი ფონ-კლიუგე.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 6 ივლისი (საკადესი). საომარი მოქმედების ევროპის ასპარეზზე მყოფი ამერიკის შეიარაღებული ძალების შტაბმა გამოაცხადა, რომ ბომბდამშენთა დიდი შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ მტრის ობიექტებს ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, აეროდრომებს საფრანგეთში და საშუალო ნაგებობებს პა-დე-კალეში, აგრეთვე თვითმფრინავ-ყუმბარების სასტარტო სადგურებს.

ლონდონი, 6 ივლისი (საკადესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 5 ივლისს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდმა ძალებმა იერიში მიიტანეს გერმანიის თვითმფრინავ-ყუმბარების სასტარტო სადგურებზე და სხვა სამხედრო ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში. „მოსკიტოს“ მარკის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს სინთეზური საწვავის ქარხნებზე ბიურეში (გელზენკირხენის მახლობლად), აგრეთვე სხვა ობიექტებზე რურში.

ამერიკის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 6 ივლისი (საკადესი). ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მოქმედი ამერიკის სტრატეგიული სამხედრო-საპაერო ძალების შტაბი იუწყება, რომ „მფრინავი სიმაგრეების“ და „ლიბერეიტორების“ შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით 5 ივლისს დილით თავს დაესხნენ აეროდრომებს ბოლანდიასა და ბელგიაში, თვითმფრინავ-ყუმბარების გერმანიის ბაზებს და სხვა ობიექტებს პა-დე-კალეს რაიონში.

დაბნეულობა და შეშფოთება ფინეთში

სტოკჰოლმი, 5 ივლისი (საკადესი). ფინეთის მძიმე საშინაო მდგომარეობას და იქ დაბნეულობისა და პანიკის ზრდას მოწმობენ ფინური გაზეთების მოწოდებანი მოსახლეობისადმი, რომ ჩუმად იყოს და ნაკლებად იფიქროს შექმნილ მდგომარეობაზე. მაგრამ როგორც პრესის აღიარებიდან ჩანს, მოსახლეობა უგულებელჰყოფს ამ რჩევა-დარიგებას. გაზეთი „უუსი სუომის“ განსაკუთრებულ შეშფოთებას ის გარემოება იწვევს, რომ ხელისუფალთა ყოფაქცევასა და პოლიტიკას ყველგან აკრიტიკებენ „მტრული პროპაგანდის პოზიციიდან“. გაზეთი „აბო უნდერეტელსერი“ მოწონავე სტატიაში სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ „ფინეთის საზოგადოებრიობა შეყვანილია შეცდომაში პროპაგანდით, რომელიც მუდამ აზვიადებდა ფინეთის საკუთარ ძალებს და ჯეროვნად არ აფასებდა მოწინააღმდეგის ძალებს“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფინეთს „მეტად მძიმე განსაცდელი მოელის“. „რუსების იერიშთა მოგერიება,—სწერს გაზეთი,—მეტად მძიმე ამოცანაა, თუნდაც რომ გერმანიის მხრივ დახმარება მივიღოთ. იქმნება სიძნელეები სურსათის მხრივ“.

ფინეთის სამხედრო და საშინაო მდგომარეობის შესახებ ამ აღიარებათა შემდეგ გაზეთი შიშით აღნიშნავს, რომ, თუ ფინელი ხალხი თვალს გაუსწორებს სინამდვილეს, „მას შეეძლოა გადასწყვიტოს სასოწარკვეთილი საქციელის ჩადენა“.

მდგომარეობა კოპენჰაგენში

გეტეგორგი, 5 ივლისი (საკადესი). როგორც გაზეთი „ნიუ ტიდი“ იუწყება, მდგომარეობა დანიაში კვლავ სერიოზულია. კოპენჰაგენს შემდეგ გაფიცვამ იფეთქა კიდევ დანიის 24 ქალაქში.

შვეიცის რადიო გადმოგვცემს, რომ გერმანელები იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ გაფიცულ დანიელთა მოთხოვნაზე კოპენჰაგენიდან „შალბურგის კორპუსის“ (დანელი ფაშისტების) წევრთა გაყვანის შესახებ. ამასთან დაკავშირებით თავისუფალ დანიელთა კავშირის საბჭომ მოუწოდა მუშა-მოსამსახურეებს, რომ 5 ივლისს სამუშაოზე დაბრუნდნენ.

დე-გოლი ვაშინგტონს ჩავიდა

ლონდონი, 6 ივლისი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გენერალი დე-გოლი ვაშინგტონს ჩავიდა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის პლენუმი

2 ივლისს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელშაც სამი საკითხი განიხილა.

პირველ საკითხზე — ციტრუსოვანთა ნარგავების და ევკალიპტების რემონტის, დაცვისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კ. პ. (ბ) IX პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. აბესაძემ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ს. ნინიძემ (გონიოს საბჭოთა მეურნეობა), ა. ომეროოლიმ (ახალშენის საბჭოთა მეურნეობა), ხ. ვარშანიძემ (კიროვის სახელობის კოლმეურნეობა), ნ. ზუმბულიძემ (მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობა).

1944 წლის მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ პლენუმმა მოისმინა ბათუმის რაიმიწგანის გამგის ამხ. მ. ფანცხავას მოხსენება. კამათში გამოვიდნენ ამხ. დ. ცინცაძე, ჯ. დიასამიძე და ა. მზეიძე.

რაიკომის სოორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ფ. სიხარულიძემ გააკეთა ანგარიში 1944 წლის 6 თებერვლიდან 30 ივნისამდე პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სანიკიძემ.

განხილული საკითხების გამო პლენუმმა მიიღო სათანადო დონისძიებანი.

ვ. ანთაძე

სამი ახალი საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია

კლუხორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) კლუხორის რაიკომმა დაამტკიცა სამი ახალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მათი მდივნები. პარტორგანიზაციები ჩამოყალიბდა სოფელ ზემო ტაბერდის სტალინის სახელობის, სოფელ ქვემო ტაბერდის ლენინის სახელობის და სოფელ ახალშენის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებთან.

პარტიულმა ორგანიზაციებმა შეადგინეს მუშაობის გეგმა და შეუდგნენ მათს განხორციელებას.

ა. ჭანკვეტაძე

გარდამავალი დროშა მეექვსე სამკერვალო ფაბრიკას

6 ივლისს თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივს გადაეცა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა ივნისის საწარმოო დავალებების ყველაზე უკეთესად შესრულებისათვის.

ივნისში ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 137 პროცენტით შეასრულა და ამავე დროს მიაღწია გეგმის შესრულების დანარჩენი მაჩვენებლების მაღალ დონეს.

დროშის გადაცემისას ფაბრიკაში შემდგარ მიტინგზე მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ერთხმად იკისრეს ვალდებულება — უზრუნველჰყონ მომდინარე წლის საწარმოო დავალების შესრულება ვადაზე ორი თვით ადრე— 1 ნოემბრისათვის.

შეხვედრა სოციალისტური შრომის გმირებთან

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა კომიტეტმა, ამ დღეებში საწარმოო გამოცდილების გაზიარების მიზნით მოაწყო რკინიგზის ტრანსპორტის მოწინავე ადამიანების — სოციალისტური შრომის გმირების ამხ. ა. წიკლაურის და შ. კოხრეიძის შეხვედრა ქარხნის მოწინავე მუშებთან. თავისი საწარმოო გამოცდილების შესახებ შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ა. წიკლაური. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ორდენოსანი შემდეგებელი შ. ნადირაძე, ხარატი ი. ხაჯალია და ზეინკალი შ. ჯლანაშვილი.

შეკრების მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს ქ. ხარკოვის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივს.

ბუნგოს ზეთსახდელმა ქარხანამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

ტუნგოს ზეთსახდელმა ქარხანამ 1 ივლისისათვის დაამთავრა ახალი დანადგარის ფორტაჟი, რაც შესამჩნევად გაადიდებს ზეთის გამოშვებას.

მაისსა და ივნისში ქარხნის კოლექტივმა 8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა ტუნგოს ზეთის გამოშვების ორი თვის გეგმა. ქარხნის კოლექტივმა იკისრა ყოველთვიურად სისტემატიური გადამეტებით შეასრულოს ამ ძვირფასი პროდუქციის გამოშვების დავალება.

ქაბრეთის მტს-ი. კომბაინერის თანაშეწყი, სტახანოველი ნათელა ხურცაძე კოლმეურნეობა „ელვაში“ იღებს მოსავალს.
ფოტო რ. აკოფოვისა.

ბურჯაანის მტს-ი. მოწინავე ტრაქტორისტი ავრამ კობახიძე კოლმეურნეობა „წითელი უბნის“ მინდვრებში მოსავლის აღებაზე.
ფოტო რ. აკოფოვისა.

მოსავლის აღებას აგვიანებენ. კომბაინი მოაცდინეს

საგარეჯო („კომუნისტის“ სპეც. კორ.). კოლმეურნეობებში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება მასობრივად გაჩაღდა. 13.060 ჰექტარიდან პურეული უკვე აღებულია 1.000-მდე ჰექტარზე. საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალ შრომაში“ (თავმჯდომარე დ. დევდარიანი) მოსავლის თითქმის ნახევარი უკვე აღებულია.

კოლმეურნეები წარმატებით მუშაობენ. 70 წლის ანა ხუციშვილი სამუშაოთა ნორმებს 200 პროცენტით ასრულებს. მას წელს უკვე გამომუშავებული აქვს 240 შრომადღე. ასევე წარმატებით მუშაობენ ფრონტელის ცოლი ნინა დარბაისელი, ტ. ხიპოშვილი, მ. ილურიძე, შ. ქოქაშვილი და სხვები. მოწაფეები ი. მღებრიშვილი, რ. მოველიძე, მ. პავლიაშვილი და დები იაღანაშვილები თავთავების აკრეფის დღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

მოსავლის აღებაში აგრეთვე დაწინაურდნენ სოფელ საგარეჯოს საბჭოთა საქართველოს, ლ. ბერიას, სოფელ კაკაბეთის მახარაძის სართიჭალის ბუდიონის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

კომბაინერები გ. სონიშვილი, გ. დარბაისელი და დ. ქვლივიძე მოსავლის აღებას დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ. კომბაინერმა ი. კრაგჩენკომ 3 დღეში მოსავალი 43 ჰექტარზე აიღო.

მოსავლის აღებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანიც. საგარეჯოს უდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. ქვლივიძე), სადაც 442 ჰექტარიდან 100-მდე ჰექტარზე მოსავალი დიდი ხანია შემოსულია, აღება დღემდე არ დაუწყიათ. კოლმეურნეობაში ვერ მოაწესრიგეს შრომა. სუსტია დისციპლინა. ადგილი აქვს გაცდენებს, მაგრამ საჭირო ზომებს კოლმეურნეობის ხელმძღვანელები არ იღებენ. სოფელ ჩაილურის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ კომბაინისათვის თავის დროზე არ მოამზადა ყველა ფართობი.

შ. ბოჭუა

პირველ განალეწ პურს სახელმწიფოს ჩაბარებენ

გორის რაიონის სოფელ ქვემო სობისის კოლმეურნეობა „ერთგულში“ (თავმჯდომარე ლ. რაზმაძე) ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის. სიმინდის თოხნა, ზაქრის ჭარხლის გამოზრდა, რწყვა და სხვა სამუშაოები წარმატებით სრულდება. კარგად მოვლილია 12 ჰექტარზე გადარგული კომბოსტო, პამიდორი, ხახვი, კიტრი და სტაფილო. პურეულის მოსავლის აღებისათვის მომზადებულია ტომრები, ურმები, კევრები, საწყობები, ხიდ-ბოგირები, ცელები. გამოყოფილი არიან თავთავების მჭრელები, მცელავები, მფოცხავები, მეორმეები, ძნის დამდგმელები. კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების მიზნით დიდი ყურადღება ექცევა ბრიგადებისა და რგოლების მიერ მიღებული მოსავლის ცალ-ცალკე ზუსტად აღრიცხვას.

სტახანოვურად მუშაობენ ბრიგადები, რომლებსაც რ. აწყარუნაშვილი და ნ. რაზმაძე ხელმძღვანელობენ, აგრეთვე კოლმეურნეები ნ. გიგაური, ს. რაზმაძე, შ. აწყარუნაშვილი, მ. გიგაური და თ. რაზმაძე. მათ თვითეულს წელს კოლმეურნეობაში 200-300-დე შრომადღე აქვთ გამომუშავებული.

კოლმეურნეობა მზად არის მოსავლის უუნაკლოდ აღებისა და პირველი განალეწი მარცვლეულის სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად.

ს. აწყარუნაშვილი

მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის

სამგრძედიელ მეორთქმავლეთა ნარმაგება

სამტრედიის საორთქმავლო დეპოს კოლექტივი ახალი მიღწევებით ხვდება რკინიგზელის სრულიად-საკავშირო დღეს. დეპოში მომუშავე ფრონტული ბრიგადები, რომლებსაც დ. სულავა და ჭ. ფუქირია ხელმძღვანელობენ, ყოველდღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ივნისში კარგად იმუშავა გარეცხვითი რემონტის საამქრომ. ამ საამქროში მომუშავე ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც აშხ. სულავა ხელმძღვანელობს, ივნისში ნაცვლად 21 ორთქმავლისა შეაკეთა 32 ორთქმავალი. აქედან ერთი ორთქმავლის შეკეთების ღირებულება ბრიგადამ წითელი არმიის მთავარსარდლობის ფონდში გადარიცხა. ახალი საწარმოო წარმატებით ხვდებიან რკინიგზელის საკავშირო დღეს ლუნინელი მემანქანეების დ. კოხრეიძის და აკ. ცაგურიას საორთქმავლო გუნდები. მარტის ივნისის განმავლობაში მათ 6.401 კილოგრამი სათბობი დაზოგეს.

სახარატო საამქროს სტახანოველმა ხარატმა ამხ. დ. გორდაძემ რკინიგზელის დღისათვის იკისრა ივნისის გეგმის 200 პროცენტით შესრულება. ნაკისრი ვალდებულება მან წარმატებით გაანაღდა. ახლა ამხ. გორდაძე გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს 400 პროცენტით ასრულებს.

ზ. ლალიაშვილი

გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ძეგლი

მოქანდაკეებმა ი. ნიკოლაძემ, კ. მერაბიშვილმა და ს. კაკაბაძემ დაამთავრეს გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ქანდაკებების გამოკვეთა. ამ ქანდაკებებს ამ დღეებში სპეციალური კომისია განიხილავს. საუკეთესო ქანდაკება დაიდგმება თბილისში ერთ-ერთ მოედანზე, როგორც გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ძეგლი.

სემინარი

7 ივლისს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (საბჭოს ქ. № 134) ამხ. **ფრიშენბერგი** რუსულ ენაზე ჩაატარებს სემინარს პროპაგანდისტებისა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთათვის. თემა: **„სამამულო ომის სამი წელი“.**

ლექციები

7 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) საწარმოთა ხელმძღვანელებისათვის შესდგება დოკლადი **ა. გოკიელის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„თვითღირებულება და მისი შემცირების გზები“.**

7 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) რაიონის პარტაქტივისათვის შესდგება ამხ. **სიგუას** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის სამამულო ომის სამი წელი“.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ ა. წ. 17 ივლისს, დღის 2 საათზე ინსტიტუტის შენობაში (მარის ქუჩა № 33) 277-ე აუდიტორიაში შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც დისერტაციას დაიცავენ:

1. ამავე ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის ასისტენტი **ვალენტინა ნიკოლოზის-ასული ლაბარია** თემაზე: **„საქართველოს სსრ ყომრალი ნიადაგების ზოგადი ქიმიურ-ფიზიკური თვისებები კოლოიდურ ნაწილთან დაკავშირებით“**—სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი დოქტორი პროფესორი **ვ. ზ. გულისაშვილი** და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. მ. ტარასაშვილი.**

2. საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-საკვლევითი ინსტიტუტის ბოტანიკის და მემცენარეობის კათედრის ასისტენტი **მარიამ სიმონის-ასული მესხი** თემაზე: **„სახნავი ფართობის დასარეკლიანება სამგორის ველზე“**—სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **გ. ტ. რცხილაძე** და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. ნ. ქიშელაშვილი.**

მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ შრომებს ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ინსტიტუტის დირექტორი ბ. იაკობაშვილი

გაშვისმკვლელნი

ბელორუსიის 1-ლი ფრონტი, 4 ივლისი (საკადესის სპეც. კორ.). სამხრეთ ბელორუსიის იმ რაიონებში, რომელნიც ეს-ეს არის განთავისუფლებულ იქნენ წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევით, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ახალი, უდიდესი დანაშაულობა გამომჟღავნდა. დოკუმენტალურად დადასტურებულია, რომ ჰიტლერელი ჯალათები ორგანიზებულად, მეთოდურად ყლეტდნენ საბჭოთა ბავშვებს ბელორუსიაში.

კიროვის რაიონის სოფელ ლეშჩინკის, როგაჩოვის რაიონის სოფელ შიროკი როგის, კოზლოვიჩის, ზელიონი დუბისა და ლისკის, ბობრუისკის რაიონის სოფელ ვილის და ბევრი სხვა სოფლის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი განცხადების მიხედვით იქმნება შემდეგი სურათი.

1944 წლის მარტიდან მოკიდებული და განსაკუთრებით უკანასკნელი 2-3 კვირის განმავლობაში წითელი არმიის ნაწილების მიერ ამ პუნქტების განთავისუფლებამდე, გერმანელთა სამხედრო სარდლობის წარმომადგენელნი ჰასობრივად არომევ დენ მშობლებს 8-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს და სპეციალურ ბანაკებში მიჰყავდათ ისინი. ჰიტლერელები ამას იმით ხსნიდნენ, რომ ვითომდა სურდათ სწორი განვითარება და აღზრდა მიეცათ ფრონტისპირა რაიონების მცხოვრები ბავშვებისათვის.

თავდაპირველად გერმანელმა ხელისუფლებამ გამოუცხადეს მოსახლეობას, ნებაყოფლობით ჩაგვაბარეთ ხსენებული ასაკის ბავშვები. მაგრამ, როცა გამოირკვა, რომ მოსახლეობა ბავშვებს კი არ აბარებდა, არამედ, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა დაეშალა ისინი, ჰიტლერელმა მტარვალებმა იწყეს ბავშვების ძალად წართმევა და ამ მიზნით სოფლებში სპეციალურ რაზმებს გზავნიდნენ.

გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან შემდგარი რაზმები ალყას შემოარტყამდნენ ხოლმე დასახლებულ პუნქტებს, გულმოდგინე ჩხრეკას ახდენდნენ. და მიჰყავდათ ბავშვები. ზოგ შემთხვევაში დედებს წინადადებას აძლევდნენ, სასწრაფოდ ბავშვებიანად კრებაზე გამოცხადდითო, და იქ ჯერმანელები მათ ბავშვებს ართმევდნენ.

ბავშვების წაყვანის ნამდვილი მიზეზი კი, როგორც ახლა გამოირკვა, იყო დონორ ბავშვთა ბანაკების შექმნა, რათა საბჭოთა ბავშვების სისხლი გადაესხათ გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის.

აი რას გვიამბობს როგაჩოვის რაიონის სოფელ შიროკი როგის მოქალაქე ა. ს. სობოლი:

„წითელი არმიის მოსვლამდე ოთხი დღით ადრე ჩვენს სახლში შემოვიდა გერმანელი კომენდანტი ჰოფმანი, რომელსაც ჯარისკაცები ახლდნენ, და დაიწყო ჩხრეკა. მათ იპოვეს ჩემი ორი ქალაშვილი ვალენტინა და ტატიანა. რამდენიმე დღის წინათ მათ წაიყვანეს ჩემი 11 წლის ვაჟი. მე თვალცრემლიანი ვთხოვდი გერმანელებს, ქალიშვილები დამიტოვეთ-მეთქი, მაგრამ მათ ხელები გაუკრეს ბავშვებს, ძალებივით მიაბეს ისინი სასადარს და წაიყვანეს. მე ყოველდღე ვტირი თვალში ცრემლი არ მიშრება...“

როგაჩოვის რაიონის სოფელ ლისკის მცხოვრებმა მარიამ დეგტიარიოვამ შემდეგი გვიამბო:

„ჩვენს სოფელში გერმანელებმა ძალით წაიყვანეს ყველა ბავშვი 8 წლიდან მოკიდებული და უფრო მეტი ხნისა და სპეციალურ ბანაკებში გაგზავნეს, 15-16 წლის ასაკის ჭაბუკები კი მაშინვე გამოაწყეს სამხედრო ფორმით“.

კიროვის რაიონის სოფელ ლეშჩინკის მოქალაქე ელისაბედ სემენჩიკოვამ გვაცნობა:

„1944 წლის 11 ივნისს გერმანელებმა უბრძანეს ჩვენი სოფლის ყველა ქალს, კრებაზე გამოცხადდით და თან მოიყვანეთ 14 წლის ასაკამდე ბავშვებიო. გამოცხადეს, კრება განსაკუთრებით დიდზიზღელოვანიაო. როცა ყველანი შეიკრიბნენ, გერმანელებმა ძალით წაიყვანეს ყველა ჩვენი ბავშვი, ამასთან გაძარცეს, ისინი სასწაულებლად წავლენო. ნამდვილად, ეს ჩვენ ახლა კარგად ვიცით, ისინი ბობრუისკთან წაიყვანეს, სადაც მათ სისხლს ართმევდნენ დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის გადასასხმელად“.

ამგვარად შეკრებილი ყველა ბავშვი ჯერ გაგზავნეს ეკლიანი მავთულით შემოვლებულ ბანაკებში, სადაც ვშობელთაგან არავის უშვებდნენ, შემდეგ კი სპეციალურ ეშელონებში ჩასხეს და რკინიგზით გაგზავნეს ბობრუისკს იქით.

ბავშვები თავის გადასარჩენად ტყეებში გარბოდნენ და გერმანელებს იმალებოდნენ. ბევრი ბავშვი გაქანებული მატარებლის ვაგონების ფანჯრებიდან ხტებოდა.

ბობრუისკის რაიონის სოფელ ვილის მცხოვრებმა ანტონ ტიმოთეს-ძე კოზლოვმა გადმოგვცა:

„მე სადგურ კრასნი ბერეგში ვმუშაობდი და ვნახე, რომ გერმანელებს ყოველდღე ბადრაგით მოჰყავდათ 5-7 და 8 წლის ბავშვები. მათ ეშელონებში სხამდნენ, და რამდენიმე ასეთი გაჭედილი შემადგენლობა გაგზავნეს ბობრუისკისაკენ. მარტო 1944 წლის 25 ივნისს მათ ხუთი ვაგონი გაგზავნეს 8-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებიანად.

როცა ბავშვებმა იკითხეს, საით გვგზავნით და რა უნდა გვიყოთო, გერმანელმა, რომელიც კინწისკვრით ერეკებოდა ბავშვებს ვაგონებში, უპასუხა: „სისხლს გამოგწოვთ და დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს გადაუსხამთო“. ასეთი ლაპარაკი, — აცხადებს ა. კ. კოზლოვი.—მე არა ერთხელ გამიგონია გერმანელთაგან“.

ასეთი პასუხი რომ გაიგონეს, ბავშვებმა ყვირილი და ტირილი მორთეს. გერმანელებმა ბოქლომი დაადეს ვაგონებს. მაგრამ როგორც კი მატარებელი დაიძრა, ბავშვებმა იწყეს ვაგონების ფანჯრებიდან გადმოხტომა და ბევრი მათგანი ჩემ თვალწინ დაშავდა და ხეებარი გახდა“.

სოფელ ვილის მცხოვრებმა 14 წლის ტიმოთე ზაიცევმა, რომელიც სპეციალურ ბანაკში მობილიზაციას გადაურჩა, გვიამბო:

„როცა შევიტყე, რომ გერმანელებს ბავშვები მიჰყავდათ, სახლიდან წავედი და ტყეში დავიმალე. იქ ვიმალებოდი, სანამ წითელი არმია მოვიდოდა“.

როგაჩოვის, ელობინის და ბობრუისკის რაიონების იმ სოფლებში, რომლებიც მტრისაგან გაწმენდილია, თითქმის აღარ დარჩენილა 8-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვი.

პარტიზანმა იაგორ ტიმოთეს-ძე კლერნკოვმა, რომელიც გერმანელთა ზურგიდან მოვიდა, გვაცნობა, რომ გერმანელმა ექიმებმა თვენახევრის წინათ ბობრუისკის რაიონის ერთ-ერთ პუნქტში 200 ბავშვს ამოართვეს სისხლი.

ი. დენისოვი

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800

УЭ 00307